ხელშეკრულება №2019/63
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

LTD Autotest Georgia
Digitally signed by LTD Autotest Georgia
Date: 2019.07.22 13:48:37 +04'00'

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი (შემდგომში "შემსყიდველი"), დირექტორის გურამ ბოკუჩავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „აუტოტესტ გეორგია" (შემდგომში „მიმწოდებელი"), დირექტორის ვაჟა იორდანაშვილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

ინსტიტუტის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების (შემდგომში - მომსახურება) შესყიდვა ხელშეკრულების პირობებისა და №1 დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ლარებში.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 60,00 (სამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება **2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით.**

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის ხელმოწერებით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ინსტიტუტის დირექტორი გურამ ბოკუჩავა.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, **უნივერსიტეტის ქ,#6.**

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელდება ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გაწიოს მომსახურება უმაღლეს დონეზე და იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

შემსყიდველი:
სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

ქ.თბილისი, მინდელის ქ. #7
ს/კ 249250821
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
სახაზინო კოდი: 0708687520

დირექტორი:

---------- გ. ბოკუჩავა

მიმწოდებელი:
შპს „აუტოტესტ გეორგია“

ქ. თბილისი, 13 ასურელი მამის ქ. №128
ს/კ: 405 041 119
ტელ: 253-10-09; 555-23-23-79
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE51 TB76 8383 6080 1000 03

შპს „აუტოტესტ გეორგია“
დირექტორი:

---------- ვ. იორდანაშვილი

ხელშეკრულება №2019/63 (22.07.2019)

დანართი 1

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	გამოშვების წელი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)	CPV კოდი
1	ტოიოტა ტუნდრა, სახ. ნომერი -BHB740, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება	2000	ცალი	1	60,00	60,00	71631200
					სულ:	60,00	

შემსყიდველი:
სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

ქ.თბილისი, მინდელის ქ. #7
ს/კ 249250821
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
სახაზინო კოდი: 0708687520

დირექტორი:

---------- გ. ბოკუჩავა

მიმწოდებელი:
შპს „აუტოტესტ გეორგია“

ქ. თბილისი, 13 ასურელი მამის ქ. №128
ს/კ: 405 041 119
ტელ: 253-10-09; 555-23-23-79
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE51 TB76 8383 6080 1000 03

შპს „აუტოტესტ გეორგია“
დირექტორი:

---------- ვ. იორდანაშვილი